



მარტი 2022

განსახილველი პროექტი — მოკლე აღწერა

IFRS® Sustainability Disclosure Standards

[განსახილველი პროექტი] ფასს მ1

მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

[განსახილველი პროექტი] ფასს მ2

კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია

განსახილველად შემოთავაზებული სტანდარტების პროექტები

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ISSB) გეგმავს ორი სტანდარტის გამოცემას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლებიც:

- კომპანიას დაავალდებულებს ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების გავლენა საწარმოს ღირებულებაზე;
- დაადგენს ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ.

პროექტის მიმდინარე ეტაპი

ISSB-ი ამჟამად კომენტარების წარდგენას მოელის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ფინანსური ინფორმაციის შესახებ შემოთავაზებულ სტანდარტებთან (განსახილველი პროექტები) დაკავშირებით.

შემდეგი ეტაპი

ISSB-ი საბოლოო მოთხოვნების შემუშავებისას გაითვალისწინებს განსახილველ პროექტებთან დაკავშირებით მიღებულ კომენტარებს. იგი კომენტარების განხილვას გეგმავს 2022 წლის მეორე ნახევარში, ხოლო მოთხოვნების დამუშავების დასრულებას – 2022 წლის ბოლოსთვის.

კომენტარების წარდგენის ბოლო ვადა

29 ივლისი, 2022



შესავალი

კაპიტალის საერთაშორისო ბაზრები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ უფრო ხარისხიან და სრულყოფილ ინფორმაციას მოითხოვენ, რათა ინვესტორებმა საწარმოს ღირებულების შეფასებისას შეძლონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება.

ISSB-ი სწორედ ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაფუძნდა.

ამჟამად ISSB-მა განსახილველად გამოაქვეყნა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის პირველი ორი სტანდარტის პროექტი, რომლებიც, განხილვის დასრულებისთანავე, **მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციისთვის შექმნის ყოვლისმომცველ საერთაშორისო საფუძვლებს, რომელიც განკუთვნილია ინვესტორების საინფორმაციო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საწარმოს ღირებულების შეფასებისას.**


შემოთავაზებული ფასი მ1 – „**მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამყდვენების საერთო მოთხოვნები**“ (საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტი) კომპანიებს დაავალდებულებს ინფორმაციის გამყდვენებას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და შესაძლებლობის შესახებ.

შემოთავაზებული ფასი მ2 – „**კლიმატთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაცია**“ (კლიმატის განსახილველი პროექტი) ყურადღებას ამახვილებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე. მასში გათვალისწინებულია კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამყდვენების საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფის (TCFD) რეკომენდაციები და მოიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც მიესადაგება მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (SASB) დარგობრივი სტანდარტების შესაბამის დარგების კლასიფიკაციას.

საერთაშორისო საფუძვლების იდეას მხარს უჭერენ დიდი ოცეულის (G20) ხელმძღვანელები, ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOSCO) და სხვები.

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა იურისდიქციასთან, რათა მათ ხელი შეუწყონ თავიანთი იურისდიქციის მოთხოვნებში საერთაშორისო საფუძვლების გათვალისწინებას და უზრუნველყონ მათი თავსებადობა იმ მოთხოვნებთან, რომლებიც განკუთვნილია დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო ჯგუფებისთვის. რეკომენდებულია, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა მონაწილეობა მიიღონ მდგრადი განვითარების ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამართულ იურისდიქციების კონსულტაციებში.

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო მიმდინარე წლის მეორე ნახევარში კონსულტაციებს გამართავს სტანდარტების დადგენის სფეროში სამომავლო პრიორიტეტებთან დაკავშირებით.



ნდობით აღჭურვილმა პირებმა **კონსულტაცია გამართეს** გლობალური კაპიტალის ბაზრების მოთხოვნის შესახებ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და ამ სფეროში ფასი ფონდის პოტენციური როლის თაობაზე.

„ხუთეულმა“ **გამოაქვეყნა** კლიმატთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის სტანდარტის პროტოტიპი, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ ითანამშრომლებენ ეს ორგანიზაციები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის გლობალური სტანდარტების შექმნაში.

ნდობით აღჭურვილმა პირებმა დააფუძნეს **ტექნიკური მზადყოფნის სამუშაო ჯგუფი (TRWG)** ახალი შემოთავაზებული

ნდობით აღჭურვილმა პირებმა განცხადება გააკეთეს ISSB-ის დაფუძნების, ტექნიკური მზადყოფნის სამუშაო ჯგუფის (TRWG) მიერ პროტოტიპების გამოქვეყნებისა და კლიმატთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის სტანდარტების საბჭოს (CDSB) და ღირებულების ანგარიშების ფონდის გაერთიანების შესახებ (რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ანგარიშგებასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის სტანდარტებს).

ISSB-მა კონსულტაციებისთვის გამოაქვეყნა ორი სტანდარტის განსახილველი პროექტი:

მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამყდვენების საერთო მოთხოვნები
კლიმატთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაცია

კომენტარების წარდგენის ბოლო ვადა – 29 ივლისი, 2022 წ.

ISSB-ის შესახებ

2021 წლის ნოემბერში, გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციაზე (COP26) ფასი ფონდის ნდობით აღჭურვილმა პირებმა განცხადება გააკეთეს ISSB-ის (სტანდარტების დამდგენი ახალი ორგანიზაცია) დაფუძნების შესახებ.

ISSB-ის კომპეტენციაში შედის სტანდარტების გამოცემა, რომლებიც კაპიტალის ბაზრებს უზრუნველყოფს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის ყოვლისმომცველი საერთაშორისო საფუძვლებით. იგი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პარალელურად იმუშავებს. ორივე საბჭოს ზედამხედველობას გაუწევენ ნდობით აღჭურვილი პირები. ISSB-ის სტანდარტებს დაერქმევა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასი სტანდარტები.

1

განსახილველი პროექტი - ფასს მ1 – მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

საერთო მოთხოვნების განსახილველ პროექტში ჩამოყალიბებულია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ფინანსური ინფორმაციის სრული პაკეტის ძირითადი შინაარსი, რომელიც მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის ყოვლისმომცველ საფუძვლებს ქმნის.

- განსახილველი მოთხოვნების შესასრულებლად, კომპანია გაამჟღავნებს არსებით ინფორმაციას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და შესაძლებლობის შესახებ, რომელიც მას ეხება - არსებითობის განსჯა განხორციელდება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის კონტექსტში, რომელიც ესაჭიროებათ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს (ინვესტორებს) საწარმოს ღირებულების შესაფასებლად.


- საწარმოს ღირებულება საწარმოს საკუთარი კაპიტალისა და წმინდა ვალის მთლიანი ღირებულებაა, რომელიც ასახავს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოქმნის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას, ასევე ამ ფულად ნაკადებზე მისაკუთვებელ ღირებულებას (ასახავს კაპიტალის ღირებულებას).
- ინფორმაცია, რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს საწარმოს ღირებულების შეფასებისთვის, უფრო ფართოა, ვიდრე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია. იგი მოიცავს ინფორმაციას კომპანიის ზეგავლენისა და დამოკიდებულების შესახებ ადამიანებზე, დედამიწასა და ეკონომიკაზე, როდესაც იგი რელევანტურია საწარმოს ღირებულების შეფასებისთვის.

- ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებასაც ითვალისწინებს საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტი და ასევე მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ფინანსური ინფორმაციის სტანდარტებით დადგენილი ნებისმიერი ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს კომპანიის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ნაწილის სახით. მათსადაამე, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნება სავალდებულო იქნება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

ძირითადი შინაარსი

საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტის მიხედვით სავალდებულო იქნება ინფორმაციის გამჟღავნება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. მდგრადი განვითარების შესახებ გამჟღავნებული ფინანსური ინფორმაცია კონცენტრირებული იქნება იმაზე, როგორ, რამდენად ითვალისწინებს კომპანია თავის მართვას, სტრატეგიას, რისკების მართვას, კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლებსა და მიზნებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად, მონიტორინგის განსახორციელებლად და მათ სამართავად.

მართალია, ეს მიდგომა შეესაბამება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფის (TCFD) რეკომენდაციებს, მაგრამ იგი მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებსა და შესაძლებლობებზეც ვრცელდება.



მართვა

ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ კომპანიის იმ მართვის პროცესებს, კონტროლის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების მონიტორინგისა და მართვისთვის.

სტრატეგია

ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შესაძლებლობებზე რეაგირების კომპანიის სტრატეგია, ასევე არის თუ არა ეს რისკები და შესაძლებლობები ინტეგრირებული კომპანიის სტრატეგიულ, მათ შორის ფინანსურ დაგეგმვაში და კომპანიის სტრატეგიაში უკავიათ თუ არა ცენტრალური ადგილი.

რისკების მართვა

ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ პროცესს, რომლის მეშვეობით კომპანია ავლენს, აფასებს და მართავს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ არსებულ და მოსალოდნელ რისკებსა და შესაძლებლობებს, ასევე არის თუ არა ეს პროცესი ინტეგრირებული კომპანიის რისკების მართვის საერთო პროცესში. ეს ინფორმაცია ინვესტორებს ეხმარება კომპანიის რისკების ზოგადი პროფილისა და რისკების მართვის პროცესების შეფასებაში.

მაჩვენებლები და მიზნები

ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს გაეცნონ, როგორ აფასებს, როგორ ახორციელებს მონიტორინგს და როგორ მართავს კომპანია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს, ასევე როგორ აფასებს თავის შედეგებს, მათ შორის მიზნების შესრულების კუთხით მიღწეულ პროგრესს.

სამართლიანი წარდგენა

საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტის მიხედვით კომპანიებმა უნდა წარადგინონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყლავნებელი ფინანსური ინფორმაციის სრული პაკეტი.

სამართლიანი წარდგენა გულისხმობს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ობიექტურ წარდგენას, საერთო მოთხოვნების განსახილველ პროექტში ჩამოყალიბებული პრინციპების გამოყენებით.

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების, მათ შორის მათთან დაკავშირებული მაჩვენებლებისა და მიზნების დასადგენად კომპანია გამოიყენებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყლავნებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტებს. გარდა ამისა, კომპანიას მოეთხოვება მდგრადი განვითარების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (SASB) დარგობრივი სტანდარტების, ISSB-ის არასავალდებულო სახელმძღვანელო მითითებების (როგორცაა კლიმატთან დაკავშირებით გასამყლავნებელი ინფორმაციის სტანდარტების საბჭოს (CDSB) პრინციპების გამოყენების სახელმძღვანელო წყალსა და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამყლავნების შესახებ) და იმ სხვა სტანდარტების დამდგენი ორგანოების უახლესი ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით გასამყლავნებელი საკითხების გათვალისწინება, რომელთა მოთხოვნები განკუთვნილია ინვესტორთა საინფორმაციო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს იმ კომპანიების მიერ გამოვლენილი მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები, რომლებიც იმავე დარგებსა და გეოგრაფიულ რეგიონებში საქმიანობენ.

გასამყლავნებელი სათანადო ინფორმაციის, მათ შორის მაჩვენებლების დასადგენად, კომპანიებმა უნდა გამოიყენონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყლავნებელი ინფორმაციის შესაბამისი სტანდარტები. თუ არ იარსებებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყლავნებელი ინფორმაციის სტანდარტი, რომელიც კონკრეტულად მდგრად

განვითარებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ რისკს ან შესაძლებლობას ეხება, კომპანიამ თვითონ უნდა დაადგინოს გასამყლავნებელი ისეთი ინფორმაცია, რომელიც ინვესტორების გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებებს შეესაბამება. შემოთავაზებულ სტანდარტში მოცემულია მითითებები, რომლებიც ეხება სათანადო მაჩვენებლების, მათ შორის დარგთაშორის და დარგობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა და ასევე შესაბამისი მაგალითები.

კომპანიის ღირებულების ჯაჭვთან დაკავშირებული ინფორმაცია

შემოთავაზებული სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ არსებითი ინფორმაციის გამყლავნება კომპანიის მთელი ღირებულების ჯაჭვის მიხედვით. სტანდარტში ღირებულების ჯაჭვი განმარტებულია, როგორც „კომპანიის ღონისძიებების, რესურსებისა და ურთიერთობების მთელი სპექტრი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ბიზნესმოდელთან და იმ გარემოსთან, სადაც ის ფუნქციონირებს“.

ზემოაღნიშნული მიზნისთვის კომპანიამ უნდა განიხილოს ის ღონისძიებები, რესურსები და ურთიერთობები, რომლებიც კომპანიის საქმიანობასა და ოპერაციებში გამოიყენება, მათ შორის ადამიანური რესურსები; ღონისძიებები, რესურსები და ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის მიწოდების მარკეტინგისა და სადისტრიბუციო არხებთან, როგორცაა მასალებისა და მომსახურების მოძიება, პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა და მიწოდება; ასევე ფინანსური, გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური და მარეგულირებელი გარემო, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპანიისთვის შესაფერისი ფინანსური ინფორმაცია დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორცაა, მაგალითად კომპანიის საქმიანობის სახეები ან დარგი, რომელსაც იგი მიეკუთვნება, ადგილები/რეგიონები, სადაც ის საქმიანობს, მისი პროდუქცია და საწარმოო პროცესები, ასევე დასაქმებულებსა და მიწოდების ჯაჭვზე კომპანიის დამოკიდებულების ბუნება.

შემოთავაზებული სტანდარტის მიხედვით, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია და ფინანსური ანგარიშგება ერთდროულად უნდა იყოს წარდგენილი.

გასამყლავნებელი ინფორმაცია თითოეული კომპანიისთვის განსხვავებული, სპეციფიკური იქნება. ამასთან, მართალია, ღირებულების ჯაჭვის განმარტება საკმაოდ ფართოა, მაგრამ ინფორმაცია, რომლის წარდგენაც კომპანიას მოეთხოვება, შემოიფარგლება მხოლოდ აუცილებელი ინფორმაციით, რომელიც ინვესტორებს საწარმოს ღირებულების შეფასების საშუალებას მისცემს.

დაკავშირებული ინფორმაცია

შემოთავაზებული სტანდარტის მიხედვით, კომპანიებმა ისეთი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ, რომელიც ინვესტორებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკსა და შესაძლებლობას შორის არსებული კავშირების შეფასების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, კომპანიას მოეთხოვება იმის ახსნაც, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია როგორ არის დაკავშირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციასთან.

დაკავშირებული ინფორმაცია – მაგალითები

- ახლახან გაირკვა, რომ კომპანიის მომწოდებლის დასაქმების პრაქტიკა არ შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს. კომპანია იღებს გადაწყვეტილებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება ამ მომწოდებელთან.

კომპანია გამყდვენებულ ინფორმაციაში ირწმუნება, რომ მისი ახალი მომწოდებლის დასაქმების პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს. ეს გადაწყვეტილება შესაძლოა გავლენას ახდენდეს მასალების ღირებულებაზეც, რაც ასევე უნდა გამყდვენდეს.

- კომპანიას აქვს ქარხანა, რომელიც წარმოქმნის სათბური გაზების (GHG) მაღალი დონის ემისიებს. კომპანია იღებს გადაწყვეტილებას, დახუროს ქარხანა.

კომპანია გამყდვენებულ ინფორმაციაში განმარტავს ამ გადაწყვეტილების ფინანსურ შედეგებს: შესაბამისი აქტივების კორექტირებული სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადა და, შესაბამის შემთხვევაში, გაუფასურების ხარჯის აღიარება. გარდა ამისა, კომპანია ამყდვენებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ეს გადაწყვეტილება გავლენას იქონიებს პერსონალზე, რომელიც დაკარგავს სამუშაოს და ასევე ადგილობრივ ბიზნესზე, ვინაიდან, კომპანიის შეფასებით, ეს ინფორმაცია გავლენას ახდენს მის რეპუტაციაზე.

საერთო მახასიათებლები

შემოთავაზებულ სტანდარტში ჩამოყალიბებულია ქვემოთ განხილულ მახასიათებლებთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- შესადარისი ინფორმაცია;
- ანგარიშგების წარდგენის სიხშირე;
- ინფორმაციის ადგილმდებარეობა;
- ანგარიშგალდებული საწარმოსა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მითითება;
- ფინანსური მონაცემებისა და დაშვებების გამოყენება;
- შეფასებასა და შედეგთან დაკავშირებული განუხაზვრელობის წყაროები;
- შეცდომები; და
- სტანდარტებთან შესაბამისობის განაცხადი.

შემოთავაზებული საერთო მახასიათებლები განისაზღვრა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (ბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები).

ეს საერთო მახასიათებლები ნაცნობი იქნება კომპანიებისთვის, რომლებიც ამზადებენ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას, კერძოდ, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიამ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია უნდა გამყდვენოს, როგორც თავისი საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ნაწილი. ეს მოთხოვნა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციისა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გამყდვენებული ფინანსური ინფორმაციის ერთად გათვალისწინება, სხვადასხვა სახის რისკსა და შესაძლებლობას შორის ურთიერთდამოკიდებულებასა და კავშირებზე ყურადღების გამახვილებით.

<p>მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის სტანდარტები</p>	<p>ბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა – განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს, ხოლო ბასს 8 – სააღრიცხვო პოლიტიკას, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები – მოიცავს მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის შესახებ.</p>
<p>შემოთავაზებული ფასს მ1</p>	<p>საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტი შემუშავებულია იმგვარად, რომ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში ამ სტანდარტების ეკვივალენტური იყოს.</p>
<p>შემოთავაზებული ფასს მ2</p> <p>მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის სხვა სტანდარტები</p> <p>დარგების მიხედვით ინფორმაციის გამყდვენების მოთხოვნები და ა.შ.</p>	<p>მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ფინანსური ინფორმაციის სრული პაკეტი სამართლიანად ასახავს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ კომპანიის რისკებსა და შესაძლებლობებს, რაც აუცილებელია საწარმოს ღირებულების შესაფასებლად. მითითებები მოცემულია იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და შესაძლებლობის შესახებ ინფორმირება. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები უფრო დეტალურად არის განხილული მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტში.</p>

2

განსახილველი პროექტი - ფასს მ2 – კლიმატთან დაკავშირებით გასამქლავნებელი ინფორმაცია

კომპანია, რომელიც იყენებს საერთო მოთხოვნების განსახილველ პროექტს, კლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ არსებითი ინფორმაციის წარსადგენად გამოიყენებს კლიმატთან დაკავშირებით გასამქლავნებელი ინფორმაციის განსახილველ პროექტს. კლიმატთან დაკავშირებით გასამქლავნებელი ინფორმაციის განსახილველი პროექტის მიხედვით კომპანია ვალდებული იქნება, ისეთი ინფორმაცია გაამქლავნოს, რომელიც ინვესტორებს საწარმოს ღირებულებაზე კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზეგავლენის შეფასების საშუალებას მისცემს.

კლიმატთან დაკავშირებით გასამქლავნებელი ინფორმაციის განსახილველ პროექტში იგივე მიდგომაა გამოყენებული, რომელიც გამოყენებულია საერთო მოთხოვნების განსახილველ პროექტში. ამრიგად, იგი კომპანიას ავალდებულებს, ინფორმაციის გამქლავნებისას ყურადღება გაამახვილოს საწარმოს მართვაზე, მის სტრატეგიასა და რისკების მართვაზე, ასევე იმ მაჩვენებლებსა და მიზნებზე, რომლებსაც იგი იყენებს კლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად, მონიტორინგის განსახორციელებლად და სამართავად. შემოთავაზებული სტანდარტი მოიცავს მოთხოვნას, რომლის მიხედვით კომპანიებმა უნდა გაამქლავნონ ინფორმაცია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ფიზიკური და გადასვლის რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ.

მართვა

შემოთავაზებული სტანდარტის მიხედვით, კომპანიამ ინფორმაცია უნდა გამჟღავნებდეს იმ მართვის პროცესის, კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, რომლებსაც იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მონიტორინგისთვის და მათ სამართავად. გარდა ამისა, კომპანიამ, კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზედამხედველობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, უნდა გამჟღავნოს ინფორმაცია მმართველი ორგანოს შესახებ, როგორცაა მმართველი საბჭო ან კომიტეტი. კერძოდ:

- რა სახის უფლებამოსილება აქვს კომპანიის კლიმატთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგის მართვის ორგანოს ?
- რა როლს ასრულებს ხელმძღვანელობა კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებასა და მართვაში?
- როგორ უზრუნველყოფს კომპანია იმას, რომ ჰყავდეს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირები, რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ მის სტრატეგიას?

საერთო მოთხოვნების განსახილველ პროექტში ხაზგასმულია, რომ კომპანიებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა მოეთხოვებათ, რომელიც ინვესტორებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკსა და შესაძლებლობას შორის არსებული კავშირების შეფასების საშუალებას მისცემს, მათ შორის კლიმატის განსახილველ პროექტში ჩამოყალიბებულ სპეციფიკურ რისკებსა და შესაძლებლობებს შორის კავშირების როდესაც კომპანია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს ერთად უწევს ზედამხედველობას, მან მათი მართვის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციაც ინტეგრირებული სახით უნდა წარმოადგინოს, ნაცვლად იმისა, რომ ცალ-ცალკე გამჟღავნოს ინფორმაცია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული თითოეული მნიშვნელოვანი რისკისა და შესაძლებლობის მართვის შესახებ.

სტრატეგია

შემოთავაზებული სტანდარტის მიხედვით, კომპანიებმა ინფორმაცია უნდა გამჟღავნონ იმის შესახებ, გონივრულ ფარგლებში, რა გავლენა შეიძლება იქონიოს კლიმატის ცვლილებამ მათ ბიზნეს-მოდელებზე, სტრატეგიასა და ფულად ნაკადებზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში, ასევე დაფინანსებაზე მათ წვდომასა და კაპიტალის ღირებულებაზე. მაგალითად, კომპანიის საქმიანობის გაგრძელება ბიზნესის ამა თუ იმ კონკრეტული მიმართულებით შესაძლოა საზიანო იყოს მისი რეპუტაციისთვის და შეიძლება შეზღუდოს დაფინანსებაზე წვდომის კომპანიის შესაძლებლობა.

კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები

კომპანიას მოეთხოვება ფიზიკური და გადასვლის რისკების გამოვლენა. ფიზიკური რისკების შემთხვევაში, კომპანიამ უნდა ახსნას, რისკი მწვავეა თუ ქრონიკული.

ფიზიკური რისკები	გადასვლის რისკები
<p>მწვავე ფიზიკური რისკები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ბუნებრივ კატაკლიზმებს, როგორცაა, მაგალითად ციკლონები და წყალდიდობები, რომლებიც კომპანიის აქტივებს რისკის ქვეშ აყენებს ან არღვევს მის მიწოდების ჯაჭვს (მაგალითად „ზუსტად ვადაში“ მიწოდების პროცესის დარღვევა).</p> <p>ქრონიკულ ფიზიკურ რისკებს განეკუთვნება ზღვის დონის ან საშუალო ტემპერატურის მატება. კლიმატის ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის სტრატეგიაზე, მაგალითად კომპანიის შეიძლება დასჭირდეს საწარმოო ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლის საკითხის განხილვა.</p>	<p>რისკები, რომლებიც დაკავშირებულია დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე კომპანიის გადასვლასთან.</p> <p>გადასვლის რისკებს განეკუთვნება პოლიტიკური ან სამართლებრივი, საბაზრო, ტექნოლოგიური და რეპუტაციის რისკები.</p> <p>საბაზრო რისკის მაგალითია შემცირებული მოთხოვნა ნახშირბადის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებზე. სამართლებრივი რისკი არის მარეგულირებელი ქმედება, რომელიც კომპანიის პროდუქტების გაყიდვას კრძალავს, მაგალითად, გაზის წყლის გამაცხელებლების ან დიზელის საწვავზე მომუშავე ავტომობილების. ტექნოლოგიური რისკი ან შესაძლებლობა შეიძლება იყოს დიზელის საწვავზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების შემცველები, უფრო დაბალი დონის გამონახოლოქვის მქონე ტრანსპორტი.</p>

სტრატეგია და გადაწყვეტილების მიღება

კომპანიამ გასამყლავნებელ ინფორმაციაში უნდა წარმოადგინოს თავისი გეგმის აღწერა, რომელიც ეხება კლიმატთან დაკავშირებულ გადასვლის რისკებსა და შესაძლებლობებზე რეაგირებას, მაგალითად:

- როგორ გეგმავს კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მიღწევას, მათ შორის როგორ მოხდება რესურსებით ამ გეგმების უზრუნველყოფა და მიზნების გადახედვა/განახლება.
- როგორ ვარაუდობს კლიმატთან დაკავშირებულ რისკებთან ადაპტირებას ან მათ შემცირებას (მაგალითად, საწარმოო პროცესში განხორციელებული ცვლილებებით, შრომითი რესურსების კორექტირებით, გამოყენებული მასალების ან პროდუქციის სპეციფიკაციების შეცვლით, თუ ენერჯოეფექტურობის ღონისძიებების გატარებით).
- როგორ ვარაუდობს ღირებულების ჯაჭვში კლიმატთან არაპირდაპირ დაკავშირებულ რისკებთან ადაპტირებას ან მათ შემცირებას (მაგალითად, მომხმარებლებთან და მიწოდების ჯაჭვთან თანამშრომლობით თუ შესყიდვების მეშვეობით).
- მისი გეგმა ითვალისწინებს თუ არა ნახშირბადის ემისიის კომპენსაციას. ასეთ შემთხვევაში, კომპანია ვალდებული იქნება, გაამყლავნოს სხვა სპეციფიკური ინფორმაციაც, რომელიც ინვესტორს კომპენსაციის სქემების შეფასების საშუალებას მისცემს.

ზოგიერთი კომპანია ნახშირბადის ფასებში ითვალისწინებს ნახშირბადის ემისიებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ დანახარჯს, კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. შემოთავაზებული სტანდარტის მიხედვით, კომპანიამ უნდა განმარტოს, როგორ განსაზღვრავს ნახშირბადის ფასს და გაამყლავნოს ფასი, რომელსაც იყენებს საბურთის გაზების ემისიების ყოველ მეტრულ ტონაზე.

ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები

კომპანიამ გაამყლავნებულ ინფორმაციაში უნდა ახსნას, თუ როგორ იმოქმედა კლიმატთან დაკავშირებულმა მნიშვნელოვანმა რისკებმა და შესაძლებლობებმა მის მიერ ბოლოს წარდგენილ ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მაგალითად, კომპანიამ შესაძლოა გაამყლავნოს ინფორმაცია აქტივის არსებითი გაუფასურების შესახებ, რაც განაპირობა გადასვლის რისკების მართვასთან დაკავშირებული კომპანიის სტრატეგიის განხორციელებამ.

ანალოგიურად, ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ახალ ტექნოლოგიებში ჩადებულ ინვესტიციას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენების მიზნით. გარდა ამისა, კლიმატთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შესაძლებლობებზე რეაგირების სტრატეგიის გათვალისწინებით კომპანიამ უნდა ახსნას, როგორ შეიცვლება სავარაუდოდ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა დროთა განმავლობაში. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვის შედეგები, რაც გამოიწვია დაბალნახშირბადიანი ეკონომიკის შესაბამის პროდუქციასა და მომსახურებასთან დაკავშირებულმა გაზრდილმა ამონაგებმა ან დანახარჯებმა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოვლენების შედეგად აქტივების ფიზიკურმა დაზიანებამ და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ან მისი ზემოქმედების შემცირების მიზნით გაწეულმა დანახარჯებმა. რაოდენობრივი ინფორმაციის წარდგენისას კომპანიებს უფლება აქვთ, გაამყლავნონ ერთი თანხა/ციფრი ან თანხების დიაპაზონი.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

კლიმატთან დაკავშირებული რისკებითა და შესაძლებლობებით შესაძლებელია კომპანიის მედეგობის შემოწმება. იმისათვის, რომ ინვესტორებმა გააცნობიერონ ამ რისკებისა და შესაძლებლობების მიმართ კომპანიის მედეგობა, კომპანიამ უნდა გაამყლავნოს მაგალითად ინფორმაცია იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა, რომ აქტივებისა და ინვესტიციების გამოყენება გააგრძელოს ისევე ისე, როგორც აქამდე აკეთებდნენ ამას, ან კლიმატთან დაკავშირებული რისკი, როგორცაა წყალიდობის გაზრდილი რისკი, აიძულებს თუ არა კომპანიას აქტივების ადგილმდებარეობის შეცვლას, ექსპლუატაციიდან ამოღებას ან მოდერნიზაციას. კომპანიას დაევალება ასევე ინფორმაციის გაამყლავნება იმისთან დაკავშირებით, აქვს თუ არა მას საკმარისი ფინანსები იმისთვის, რომ გაუმკლავდეს კლიმატთან დაკავშირებულ რისკებს და გამოიყენოს კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები. შემოთავაზებული სტანდარტი, რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად, კომპანიას ავალდებულებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სცენარის ანალიზის ჩატარებას, როდესაც ეს შესაძლებელია, თუმცა ითვალისწინებს სხვა რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებასაც.

კლიმატის განსახილველი პროექტის მიხედვით კომპანიამ უნდა გაამყლავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მისი ანალიზი კლიმატის ცვლილების შესახებ უახლეს საერთაშორისო შეთანხმებას, მაგალითად, პარიზის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს, ამ საუკუნეში ტემპერატურის გლობალური ზრდის შეზღუდვას 2°C-მდე და, ამავდროულად, აგრძელებს მუშაობას ტემპერატურის ზრდის 1,5°C-მდე შესაზღუდავად.

რისკების მართვა

რისკების მართვის შესახებ გასამყლავნებელი ინფორმაცია შეესაბამება საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტის სტრუქტურას. განსახილველი პროექტის მიხედვით სავალდებულოა ინფორმაციის გამყლავნება იმ პროცედურების შესახებ, რომელსაც კომპანია იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად.

კომპანიამ უნდა ახსნას, კომპანიის რისკების მართვის საერთო პროცესში რამდენად და როგორ არის ინტეგრირებული კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენის, შეფასებისა და მართვის პროცესები. გარდა ამისა, უნდა გაამყლავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, როგორ განსაზღვრავს იგი კლიმატთან დაკავშირებული რისკების პრიორიტეტებს სხვა სახის რისკებთან შედარებით, მათ შორის რისკების შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას (მაგალითად, რისკების შეფასების მეცნიერული მეთოდები/ინსტრუმენტები).

მაჩვენებლები და მიზნები

ფასს მ2 – კლიმატთან დაკავშირებით გასამყლავნებელი ინფორმაცია

ასევე, კომპანიამ უნდა გაამყლავნოს ინფორმაცია იმ მაჩვენებლებისა და მიზნების შესახებ, რომელსაც იყენებს კლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად.

სათბურის გაზების ემისიები

შემოთავაზებული სტანდარტი კომპანიას ავალდებულებს ინფორმაციის გამყლავნებას სათბურის გაზების 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიის აბსოლუტური ბრუტო ემისიების შესახებ, CO2-ის მეტრული ტონის ეკვივალენტურ ერთეულებში და ასევე ემისიების ინტენსივობასთან დაკავშირებით. კომპანიას ამ ემისიების გამოთვლა ევალება სათბური გაზების პროტოკოლის გამოყენებით. კონსოლიდირებულმა ჯგუფებმა მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების სათბურის გაზების ემისიების შესახებ ინფორმაცია უნდა გაამყლავნონ კონსოლიდირებული ჯგუფის მიხედვით გამყლავნებული ინფორმაციისგან განცალკევებით.

მე-3 კატეგორიის ემისიების შესახებ ინფორმაციის გამყლავნების მოთხოვნა ასახავს კომპანიის ღირებულების ჯაჭვთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენის მნიშვნელობას.

ინფორმაციის გამყლავნება დარგების მიხედვით

შემოთავაზებული სტანდარტი მოიცავს დარგების მიხედვით ინფორმაციის გამყლავნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კომპანიამ, სტანდარტის საფუძველზე, უნდა დაადგინოს თავისი ბიზნესმოდელისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის სახეებისთვის შესაფერისი მოთხოვნები.

მოთხოვნებში გათვალისწინებული გასამყლავნებელი საკითხები ეხება კლიმატთან დაკავშირებულ რისკებს ან შესაძლებლობებს დარგების თითოეული ჯგუფისათვის, ხოლო მაჩვენებლების ნაკრები უკავშირდება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით გასამყლავნებელ ინფორმაციას. გასამყლავნებელი საკითხები ასახავს კლიმატთან დაკავშირებულ ისეთ რისკებსა და შესაძლებლობებს, რომელიც, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანი იქნება დარგის კომპანიებისთვის, ასევე მასთან დაკავშირებულ მაჩვენებლებს, რომლებიც, დიდი ალბათობით, გამოიწვევს საწარმოს ღირებულების შეფასებისთვის შესაფერისი ინფორმაციის გამყლავნებას. გასამყლავნებელი საკითხების მაგალითებია ინგრედიენტების წარმომავლობა, რესურსდამზოგველი და ეკოლოგიურად უსაფრთხო მოწყობილობების დანერგვის გეგმა.

შემოთავაზებული სტანდარტი მოიცავს 77 დარგობრივ კლასიფიკაციას 11 სექტორისთვის, როგორცაა, მაგალითად „ალკოჰოლური სასმელები“, „საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება“ და „სამედიცინო აღჭურვილობა და სახარჯი მასალა“. დაკავშირებული ინფორმაციის გამყლავნების მოთხოვნები ეფუძნება SASB სტანდარტებს.

დადგინდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია შესაფერისია ამ დარგის კომპანიების საწარმოს ღირებულების შესაფასებლად. დარგობრივი კლასიფიკაციის მიზანია, შესაბამისი გასამყლავნებელი ინფორმაციის დადგენით, სარგებელი მოუტანოს როგორც კომპანიებს, ისე ინვესტორებს.

ცალკეული დარგისთვის შესაფერისი საკითხები და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლები განხილულია შემოთავაზებული სტანდარტის „ბ“ დანართში. კომპანიას შეუძლია იხილოს ყველა ან რომელიმე კონკრეტული დარგისთვის შესაფერისი საკითხები და მაჩვენებლები. ცალკეულ ნაწილებში მოცემულია 68 მოთხოვნა დარგების მიხედვით ინფორმაციის გამყლავნების შესახებ.

დარჩენილ ცხრა დარგობრივ კლასიფიკაციას არ აქვს კლიმატთან დაკავშირებით გასამყლავნებელი საკითხები.

გასამყლავნებელი საკითხი – მაგალითი

საავტომობილო მრეწველობის საწარმომ შესაძლოა გადახედოს მოთხოვნებს და დაადგინოს, რომ მისი გარემოებებისთვის შესაფერისია გასამყლავნებელი საკითხი „საწვავის ეკონომია და გამოყენების ფაზის ემისიები“.

გასამყლავნებელ საკითხში აღნიშნულია, რომ „ემისიის უფრო მკაცრი სტანდარტები და მომხმარებლების ცვალებადი მოთხოვნები ხელს უწყობს როგორც ელექტრომობილებისა და ჰიბრიდების, ისე ტრადიციული ავტომობილების ბაზრების გაფართოებას, რომლებიც დიდი ოდენობის საწვავს მოიხმარენ.“

გასამყლავნებელი საკითხი ადგენს:

- გადასვლის რისკს – თუ კომპანიას სჭირდება მყიდველის შეხედულებების ცვლილების რისკის შემცირება და ბიზნესმოდელთან მისი ადაპტირება; ან
- კლიმატთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს – თუ კომპანია წერგავს ინოვაციებს, რათა დააკმაყოფილოს მარეგულირებელი სტანდარტები ან გასცდეს დადგენილ მოთხოვნებს და სულ უფრო მეტი წილი მოიპოვოს განვითარებადი ბაზრის.

დარგობრივი მაჩვენებლები – მაგალითი

ერთ-ერთი შემოთავაზებული მოთხოვნაა ინფორმაციის გამყლავნება იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს კომპანია კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მიღწევას. თუ ავტომობილების მწარმოებელმა კომპანიამ ემისიების შემცირება დაისახა მიზნად, მას ამ მიზნის შესრულებაში მიღწეული პროგრესი შეუძლია აჩვენოს შესაფერისი მაჩვენებლების გამყლავნებით, რომლებიც დაკავშირებულია „საწვავის ეკონომიისა და გამოყენების ფაზის ემისიების“ გასამყლავნებელ საკითხთან და მოიცავს:

- კომპანიის ავტოპარკის საწვავის ეკონომიას; და
- ნულოვანი გამოწვავის მქონე ავტომანქანების გაყიდვას.

ეს მაჩვენებლები განხილულია საავტომობილო დარგთან დაკავშირებული ინფორმაციის გამყლავნების მოთხოვნებში, შემოთავაზებული სტანდარტის „ბ“ დანართში.

ხშირად დასმული კითხვები

? კომპანია, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ფასს სტანდარტებს იყენებს, ვალდებულია დაიცვას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტებიც?

არა. ბუღალტრული აღრიცხვის ფასს სტანდარტები ეხება ფინანსურ ანგარიშგებებს. მაშინაც კი, თუ ამა თუ იმ იურისდიქციაში სავალდებულოა ბუღალტრული აღრიცხვის ფასს სტანდარტების გამოყენება, იურისდიქცია თვითონ გადაწყვეტს, სავალდებულო იქნება თუ არა მის იურისდიქციაში მყოფი კომპანიებისთვის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტების დაცვა.

შემოთავაზებული საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტის მიხედვით კომპანიამ ცალკე განაცხადი უნდა გააკეთოს იმის თაობაზე, რომ მან შესრულა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტების ყველა შესაფერისი მოთხოვნა.

? ვალდებულია კომპანია, ბუღალტრული აღრიცხვის ფასს სტანდარტები გამოიყენოს იმისათვის, რომ შეძლოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტების გამოყენება?

არა. მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის სტანდარტები იმისთვისაა გამიზნული, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის ნებისმიერ პრინციპებთან (GAAP), მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის ფასს სტანდარტებთან ერთად.

? სავალდებულო იქნება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტები?

ყველა იურისდიქციის სათანადო ორგანოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, მოითხოვენ თუ არა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტების გამოყენებას, ისევე, როგორც გადაწყვიტეს, სავალდებულო უნდა გაეხადათ თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის ფასს სტანდარტების გამოყენება. მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს არ აქვს სტანდარტებისთვის სავალდებულო სტატუსის მინიჭების უფლებამოსილება. თუმცა, კომპანიებს შეუძლიათ ნებაყოფლობით თვითონ აირჩიონ მათი გამოყენება.

? სავარაუდოდ, როდის შევა ძალაში შემოთავაზებული სტანდარტები?

პროექტში შესული კითხვებიდან ერთ-ერთი ეხება იმას, რა დროში ფიქრობენ კომპანიები, რომ მზად იქნებიან ამ პროექტების გამოსაყენებლად.

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო გაითვალისწინებს პროექტთან დაკავშირებულ ყველანაირ კომენტარს/მოსაზრებას, ფასს ფონდის მიერ დადგენილი სკრუპულოზური პროცესის მოთხოვნების შესაბამისად და მიზნად ისახავს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ორი ფასს სტანდარტის დასრულებას 2022 წლის ბოლოსთვის. ხელახალი განხილვებისას, მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო გადაწყვეტს სტანდარტების ძალაში შესვლის თარიღებს. სტანდარტების გამოცემისთანავე, მათი მოთხოვნების ნებაყოფლობით გამოყენება შესაძლებელი იქნება დაუყოვნებლივ.

? შემოთავაზებული სტანდარტების გამოყენება ეტაპობრივად დაიწყება?

განსახილველი პროექტების მიხედვით, კომპანიას სტანდარტის პირველად გამოყენებისას არ ევალება შესადარისი ინფორმაციის წარდგენა, თუმცა აქვს არჩევანის შესაძლებლობა. ეს წინადადება კომპანიას გაუადვილებს მოთხოვნების შესრულებას და ინვესტორებისთვის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეძლებისდაგვარად სწრაფად მიწოდებას.

? მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშის წარდგენა სავალდებულო იქნება რაიმე კონკრეტულ ადგილას, კონკრეტული ფორმატით ან ცალკე ანგარიშში?

სავალდებულოა, რომ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია კომპანიის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშების ნაწილი იყოს, თუმცა კომპანიას ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა გზით შეუძლია. სტანდარტების პროექტები არ ადგენს რაიმე კონკრეტულ სტრუქტურას, მაგალითად ფიზიკური ანგარიშის სახით, დოკუმენტის დადგენილი ფორმატით, ტეგირებული მონაცემების ფაილის სახით ან ვებგვერდის მეშვეობით.

ზოგიერთ იურისდიქციას დადგენილი აქვს სპეციალური ფორმატები ან ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნები, მაგალითად XBRL-ზე დაფუძნებული ფაილები ან ანგარიში PDF-ის ფორმატში. ეს წინადადებები იმისთვის შემუშავდა, რომ კომპანიებს ნებისმიერ იურისდიქციაში ჰქონდეთ მოთხოვნების გამოყენების საშუალება.

? თუ არ იარსებებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციის ისეთი ფასს სტანდარტი, რომელიც ამა თუ იმ კომპანიის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს ეხება, მაშინ რა მითითებები ან მოთხოვნები უნდა შეასრულოს ამ კომპანიამ?

საერთო მოთხოვნების განსახილველი პროექტი კომპანიებს უთითებს წყაროებს, რომლებიც დაეხმარება მათ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული შესაფერისი რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენაში და გასამყდვენებლად ისეთი ინფორმაციის მომზადებაში, რომელიც ინვესტორებს საწარმოს ღირებულების შეფასების საშუალებას მისცემს.

კომპანიას ურჩევენ, გაითვალისწინოს SASB-ის სტანდარტების მოთხოვნები, მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს არასავალდებულო მოთხოვნები (მაგალითად, CDSB პრინციპების გამოყენების სახელმძღვანელო წყალთან და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით გასამყდვენებელი ინფორმაციისთვის) და ზოგიერთი სხვა ორგანოს მიერ შემუშავებული სტანდარტები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტანდარტები, რომელსაც კომპანია ითვალისწინებს, ინვესტორების საინფორმაციო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად უნდა იყოს შემუშავებული. გარდა ამისა, კომპანიებს შეუძლიათ დარგში დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებაც.

? კლიმატის განსახილველი პროექტის „ბ“ დანართში მოცემული დარგობრივი მაჩვენებლები იგივეა, რაც SASB სტანდარტებში მოცემული კლიმატთან დაკავშირებულ დარგზე დაფუძნებული მოთხოვნები?

კლიმატის განსახილველი პროექტის „ბ“ დანართის საფუძველია SASB-ის სტანდარტების კლიმატთან დაკავშირებული მოთხოვნები. „ბ“ დანართის მოთხოვნები პრაქტიკულად არ განსხვავდება SASB-ის მოთხოვნებისაგან — სიმარტივისათვის, „ბ“ დანართში მონიშნულია SASB-ის მოთხოვნების სავარაუდო ცვლილებები. შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად ზოგიერთი მაჩვენებელი განახლდება, რათა გაუმჯობესდეს საერთაშორისო დონეზე მათი გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ფინანსური სექტორის დარგებისთვის დაემატება მოთხოვნები დაფინანსებულ და ხელშემწყობ ემისიებთან დაკავშირებული მაჩვენებლების შესახებ.

? შეუძლია კომპანიას აირჩიოს მხოლოდ *კლიმატის* განსახილველი პროექტის წინადადებების გამოყენება?

იმისათვის, რომ კომპანიამ განაცხადოს, რომ მან დაიცვა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამქლავნებელი ინფორმაციის ფასს სტანდარტები, აუცილებელია, რომ მან დაიცვას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამქლავნებელი ინფორმაციის ყველა ფასს სტანდარტი.

? თუ კომპანია გამოიყენებს *კლიმატის* განსახილველი პროექტის წინადადებებს, დააკმაყოფილებს ის TCFD რეკომენდაციებს (რასაც ზოგიერთი იურისდიქციაში მოითხოვება)?

დიახ. *კლიმატის* განსახილველი პროექტი მოიცავს TCFD რეკომენდაციებს და ავსებს მათ.

? მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო გეგმავს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამქლავნებელი ინფორმაციის სხვა ფასს სტანდარტების შემუშავებას?

მიმდინარე წლის ბოლოს, მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო სტანდარტების შემუშავების პრიორიტეტებთან დაკავშირებით გაივლის კონსულტაციას. კონსულტაციაში შედის მოსაზრებების/გამოხმაურებების მოძიება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული სხვა რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც საწარმოს ღირებულების შეფასებისთვის შესაფერისია, ასევე დარგობრივი მოთხოვნების შემდგომი სრულყოფის შესახებ, SASB-ის სტანდარტების საფუძველზე.

ინფორმაცია რესპონდენტებისთვის

განსახილველი პროექტის შესახებ კომენტარების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 29 ივლისი.

განსახილველ პროექტში მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას ვთხოვთ ყველას. მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო მიესალმება ნებისმიერ კითხვაზე (კითხვებზე) და განსახილველი პროექტის სხვა ასპექტებზე გამოგზავნილ პასუხებს.

კომენტარების დაფიქსირება შეგიძლიათ გამოკითხვაში მონაწილეობით ან კომენტარის გამოგზავნით – გთხოვთ, მიჰყევთ ინსტრუქციებს ჩვენს [Open for comment-ის გვერდზე](#).

იყავი ინფორმირებული

იმისათვის, რომ ელფოსტით მიიღოთ ინფორმაცია შესაბამისი სიახლეების შესახებ, შედით [ifrs.org](#)-ზე, გადადით „follows dashboard“-ზე და აირჩიეთ „Sustainability disclosure standards.“ აუცილებელია, გკონდეთ ფასს სტანდარტების ფონდის ანგარიში— რეგისტრაცია უფასოა.

ამ პროექტების პროგრესის ნახვა შესაძლებელია ფასს სტანდარტების ფონდის [სამუშაო გეგმაში](#).

განსახილველი პროექტების პაკეტი

ორივე განსახილველი პროექტი მოიცავს:

- კითხვებს რესპონდენტებისთვის; და
- დეტალურ წინადადებებს, სტანდარტების განსახილველი პროექტის ფორმატში.

განსახილველი პროექტები, შემოთავაზებული წინადადებების დასასაბუთებლად, /განსამტკიცებლად, მოიცავს საილუსტრაციო სახელმძღვანელოს.

განსახილველ პროექტთან დაკავშირებული დასკვნის საფუძველი მოიცავს წინადადებების შემუშავებისას გათვალისწინებული ფაქტორების მოკლე მიმოხილვას.

წინამდებარე დოკუმენტი

წინამდებარე დოკუმენტი – მოკლე აღწერა ფასს სტანდარტების ფონდის პერსონალმა დაინტერესებული მხარეების დასახმარებლად შეადგინა. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის პერსონალს, რომელმაც მოამზადა იგი და აუცილებელი არ არის მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შეხედულებებს ან მოსაზრებებს ემთხვეოდეს. ამ მოკლე აღწერის შინაარსი არ წარმოადგენს რჩევას/რეკომენდაციას) და არ შეიძლება მიჩნეული იყოს მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტად.

ოფიციალური დოკუმენტები და პუბლიკაციები, ინგლისურ ენაზე, ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომია მისამართზე [ifrs.org](#). ციფრული ფორმატის ფასს სტანდარტების გამომწერთათვის ზოგიერთ დოკუმენტზე წვდომა შეზღუდულია.

Copyright © 2022 IFRS Foundation

All rights reserved. Reproduction and use rights are strictly limited. No part of this publication may be translated, reprinted, reproduced or used in any form either in whole or in part or by any electronic, mechanical or other means, now known or hereafter invented, including photocopying and recording, or in any information storage and retrieval system, without prior permission in writing from the IFRS Foundation.

We would like to thank the SARAS for preparing and funding the Georgian translation of this publication. The Georgian translation of this publication has not been approved by the review committee appointed by the IFRS Foundation. The Georgian translation is copyright of the IFRS Foundation.

The Foundation has trade marks registered around the world including 'IAS®,' 'IASB®,' the IASB® logo, 'IFRIC®,' 'IFRS®,' the IFRS® logo, 'IFRS for SMEs®,' the IFRS for SMEs® logo, the 'Hexagon Device,' 'International Accounting Standards®,' 'International Financial Reporting Standards®,' 'NIIF®' and 'SIC®.' Further details of the Foundation's trade marks are available from the Foundation on request.

The IFRS Foundation is a not-for-profit corporation under the General Corporation Law of the State of Delaware, USA and operates in England and Wales as an overseas company (Company number: FC023235) with its principal office in London.

საავტორო უფლება © 2022 ეკუთვნის ფასს-ების ფონდს

ყველა უფლება დაცულია. ასლის დამზადებისა და გამოყენების უფლებები მკაცრად შეზღუდულია. მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილის თარგმნა, ხელახლა დაბეჭდვა, ასლის დამზადება/რეპროდუცირება ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენება, ფასს-ების ფონდისაგან მიღებული წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე, არ შეიძლება, არც მთლიანად, არც ნაწილობრივ და არც ამჟამად ცნობილი ან შემდგომში გამოგონებული ელექტრონული, მექანიკური ან სხვა საშუალებებით, ფოტოასლებისა და ჩანაწერების გაკეთების ან ინფორმაციის შენახვის ან მოპოვების სისტემების ჩათვლით.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს ამ პუბლიკაციის ქართული თარგმანის მომზადებისა და დაფინანსებისთვის. ამ პუბლიკაციის ქართული თარგმანი არ დაუმტკიცებია ფასს ფონდის მიერ დანიშნულ მიმოხილვის კომიტეტს. ქართული თარგმანი ფასს-ების ფონდის საავტორო უფლებაა.

ფასს-ების ფონდს აქვს მთელ მსოფლიოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, მათ შორის: 'IAS®,' 'IASB®,' 'IFRIC®,' 'IFRS®,' IFRS® ლოგო, 'IFRS for SMEs®,' the IFRS for SMEs® ლოგო, 'Hexagon Device,' 'International Accounting Standards®,' 'International Financial Reporting Standards®,' 'IFRS Taxonomy®' და 'SIC®'. მოთხოვნის შემთხვევაში ფონდიდან შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მიღება ფონდის სასაქონლო ნიშნების შესახებ.

ფასს-ების ფონდი არაკომერციული კორპორაციაა აშშ-ის დელავერის შტატის საერთო კორპორაციული სამართლის მიხედვით და ინგლისსა და უელსში ფუნქციონირებს, როგორც უცხოური კომპანია (კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი: FC023235), ხოლო მისი სათავო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: Columbus Building, 7 Westferry Circus, Canary Wharf, London, E14 4HD.



Columbus Building
7 Westferry Circus
Canary Wharf
London E14 4HD, UK

Tel **+44 (0) 20 7246 6410**
Email **customerservices@ifrs.org**

ifrs.org

International Financial Reporting Standards®,
IFRS Foundation®, IFRS®, IAS®, IFRIC®, SIC®, IASB®, ISSB™

